ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი წევრის ზურაბ აბაშიძის

2022-2023 წლის ანგარიში

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთაწმინდის მაჟორიტარი წევრის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილის, ზურაბ აბაშიძის მიერ 2022 -2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

- **საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია;**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან (2021 წლის 3 დეკემბერი), ვარ ამავე მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" წევრი, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი. ვასრულებ კანონმდებლობით მონიჭებულ უფლება-მოვალეობებს, აქტიურად ვესწრები დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სხდომებს და სამუშაო შეხვედრებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა:

- საკრებულოს 15 და ბიუროს 19 სხდომა. დავესწარი საკრებულოს 13 სხდომას.
- მიღებული იქნა 105 დადგენილება და 615 განკარგულება.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის დეკემბრიდან იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ჩატარებული 18 სხდომიდან დავესწარი 15 სხდომას. მონაწილეობა მივიღე 403 საკითხის განხილვაში.
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 18 სხდომა. დავესწარი 17 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 239 საკითხის განხილვაში.
- ჩატარდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" 18 სხდომა. დავესწარი 9 სხდომას მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა საკითხის განხილვაში.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელმაც 2023 წელს შეადგინა 1 833, 083, 600 ლარი განსაზღვრულია ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღდგენა**; რომელიც კვლავაც რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებში ხორციელდება მასშტაბური საგზაო სამუშაოები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი. 2022 წლიდან მიკროავტობუსები ჩაერთნენ ერთიანი ელექტრონული გადახდის სისტემაში. გაუმჯობესდა საგზაო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ნაკადის მართვა. ეტაპობრივად უზრუნველყოფილი ხდება სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან.
- **ურბანული განვითარების ხელშეწყობა;**

გენერალური გეგმის მიხედვით გრძელდება დედაქალაქის მდგრადი განვითარება. აღდგა თბილისის ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა. კონტროლდება მშენებლობის ნებართვები სკვერის, პარკის და სპორტული სივრცეების ტერიტორიაზე. მიმდინარეობს ავარიული მრავალბინიანი სახლების ჩანაცვლების პროგრამა.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა და რეკონსტრუქცია. ქალაქში დასასვენებელი სივრცეების კეთილმოწყობა, მიწისქვეშა გადასასვლელების პარკებისა და რეკრეაციული ობიექტების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მოთხოვნებთან. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფარგლებში ავარიული სახლების გამაგრება, აღდგენა რეაბილიტაცია.

წყალ კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

- **გარემოს დაცვის პოლიტიკა;** გარემოს დაცვის მიმართულებით, დედაქალაქში განხორციელებულ არც ერთ პროექტზე არ გაიცემა ნებართვა, თუკი გარემოს დაცვითი სტანდარტები არ არის დაცული. დედაქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს გამწვანებული ტერიტორიების აღდგენითი სამუშაოები.
- **ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;** ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით ფინანსდება ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად. სოციალური პროგრამების მიხედვით მიმდინარეობს სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სხვადასხვა სახის დახმარებების გაწევა. თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა პატრონობა, უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართების შეძენა. მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევების და მკურნალობის თანადაფინანსება. თბილისის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური მომსახურების მიწოდების პროგრამები. დაავადებათა სკრინინგის ფარგლებში განხორციელებული პროგრამები, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება და სხვა.
- **განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;** მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადრეული სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობას. საბავშვო ბაგა ბაღებში სრულყოფილი სააღმზრდელო გარემოს შექმნას. აღსაზრდელთა უსაფრთხოებისა და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის სრულყოფილად განხორციელების

კუთხით ახალი ევროპული სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაგა ბაღების მშენებლობა. კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების, სხვადასხვა ფესტივალების, კონკურსების, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიებების დაფინანსება.

საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიის წევრის სტატუსით ვახორციელებ მუშაობას თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა კომისიის 18 სხდომა, მიღებული იქნა 74 დადგენილება და 320 განკარგულება. კომისია შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს, აკონტროლებს პროცედურული საკითხების შესაბამისობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტთან, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, დასკვნებს, წინადადებებს. კომისიის წევრობის დღიდან აქტიურად ვმონაწილეობ ყველა სამართლებრივი აქტების, პროექტების შემუშავებასა და განხილვაში.

კომისიის წევრის სტატუსით ასევე ვარ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი. კომისიის მიზანს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, ინფრასტრუქტურის მოწყობა. ვმონაწილეობ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტების, რეკომენდაციების, სამართლებრივი აქტების, დასკვნების, შემუშავებასა და განხილვაში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებულია კომისიის 18 სხდომა, დავესწარი 17 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 239 საკითხის განხილვაში. საანგარიშო პერიოდში, კომისიის სხდომებზე, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული იქნა

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 344 ცვლილება (დადებითი 332, გადაიდო 12). კომისიის სხდომებზე განხილული იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, პროექტებისა და გეგმის 199 საკითხი. დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 58 პროექტი.

- **ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია;**

ქალაქ თბილისის მოსახლეობის ყოფითი პირობების, საჭიროებების, ინიციატივების, გაცნობის და დედაქალაქისთვის პრიორიტეტულ თემებზე რეაგირების მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღების საკითხს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შევხვდი და მოვუსმინე 355 მოქალაქეს რომელთაც მომმართეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით: სოციალური, საბინაო, ჯანდაცვის საკითხები, დასაქმება, ინფრასტრუქტურული იურიდიული, ურბანული და სხვა. მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე ხდება, შესაბამისი შუამდგომლობების მომზადება და იგზავნება დანიშნულებისამებრ შესაბამისი რეაგირებისთვის. სოციალურ საკითხებზე დახმარება გაეწია 93 მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო 51-მა მოქალაქემ.

- **საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია;**

მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე აქტიური კომუნიკაცია მაქვს თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, გამგეობებთან, სამინისტროებთან. როგორც მთაწმინდის მაჟორიტარი წევრს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე კომუნიკაცია მაქვს მთაწმინდის გამგეობასთან. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მთაწმინდის რაიონში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მთაწმინდის რაიონის ბიუჯეტმა 2023 წელს შეადგინა 21 182 390 ლარი. ბიუჯეტში ასახული პრიორიტეტების მიხედვით 65 მისამართზე დაიგო გზის საფარი; კედელი გამაგრდა 50 მისამართზე; აივანი შეკეთდა 3 მისამართზე; სადარბაზოს რემონტი განხორციელდა 4 მისამართზე; 13 მისამართზე გამოიცვალა ლიფტი; გამოიცვალა კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელები 15 მისამართზე; განხორციელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი კეკელიძის ქუჩა 20-30 ის მიმდებარედ; ასევე, წავკისში აღმაშენებლის ქუჩაზე; სკვერი და სტადიონი მოეწყო 32 ადგილას; გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა ავარიულ სახლებს 20 მისამართზე; სახლის სახურავი გამოიცვალა 22 მისამართზე; განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტებიდან გამოვყოფ სახლის გამაგრებას ამაღლების ქ#1; შიო მღვიმელის ქ# 3; დ. ჭონქაძის ქ#8;

- **სხვა სახის ინფორმაცია**

2023 წლის მარტში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დელეგაციასთან ერთად მონაწილეობა მივიღე სტრასბურგში მიმდინარე ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 44-ე პლენარულ სესიაში, რომელიც კონგრესის პრეზიდენტმა ლინდერტ ვერბეკმა გახსნა. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებთან ერთად ვისაუბრე

ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების მნიშვნელობაზე, ჩავერთე დისკუსიაში საქართველოსა და უკრაინის მიმართ რუსეთის მიერ განხორციელებულ სამხედრო აგრესიაზე. სხდომის მონაწილეებთან ერთად მხარი დავუჭირე დეკლარაციას უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის ომის შესახებ. საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებთან ერთად სესიაზე განვიხილეთ გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული რეგიონალური სტრატეგიები. ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მივიღეთ არაერთ შეხვედრაში, მათ შორის „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა ასოციაციის" წარმომადგენლებთან გამართულ ღონისძიებაში და გამოფენაში სახელწოდებით „ხელოვნება მშვიდობისთვის".

2023 წლის მარტში, ასევე სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ბრიუსელში ევროპის რეგიონთა და თვითმმართველობათა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის (CORLEAP) ბიუროს მორიგ მეთხუთმეტე სხდომაზე თანათავმჯდომარის სტატუსით. სამუშაო შეხვედრისას განვიხილეთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე თანამშრომლობის განვითარების ახალი ინიციატივები და შესაძლებლობები.

2023 წლის ივლისში ვმონაწილეობდი ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს (CEMR) და საქართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ შეხვედრებში, რომელიც ბრიუსელში გაიმართა. სამუშაო შეხვედრაში სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გავამახვილე საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობაზე, რომ საქართველოს მთავრობის უპირველეს პრიორიტეტს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება და მის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერება წარმოადგენს და ამ მიმართულებით

ბოლო წლებში არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა. ევროკავშირის ხელშეწყობით მთელ საქართველოში, როგორც თბილისში ასევე, რეგიონებში სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ეს კი, თავის მხრივ ქვეყნის ევროპულ ოჯახში დაბრუნების უმთავრეს წინაპირობას ქმნის.

2023 წლის სექტემბერში თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობა მივიღე როგორც CORLEAP-ის თანათავმჯდომარემ და საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ყოველწლიურ 12-ე შეხვედრაში და კონფერენციაში „მუნიციპალიტეტების როლი ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში", რომელიც გაიმართა ქალაქ ბათუმში. სიტყვით გამოსვლისას აღვნიშნე, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა (EAP) უაღრესად ღირებული ფორმატია, რომლის მეშვეობითაც წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა მიეცა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების და მასში შემავალი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის უვიზო მიმოსვლის ამოქმედებისა და ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიეღო. ასევე, ყურადღება იქნა გამახვილებული რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად შექმნილ რთულ ვითარებაზე და კიდევ ერთხელ იქნა დაფიქსირებული საქართველოს მხარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ. დღევანდელ მკვეთრად შეცვლილ გეოპოლიტიკურ გარემოში, მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტულ მიმართულებად ევროკავშირთან ურთიერთობა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის ფარგლებში ამ მხრივ კარგი მაგალითი შეიძლება იყოს შავი ზღვის პროექტები. საქართველოს ამ მხრივ სტრატეგიული მდებარეობა და პოტენციალი აქვს.

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი)

ზურაბ აბაშიძე

(ხელმოწერა)